რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
პირველ ივნისიდგან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ოთხი |4| მანათი

მ. პ. პრესმანი
უსრულებს დავალებას, ვისაც ჰსურს იყიდოს, გაჰყიდოს, დააგიროს, ანუ გადააგიროს მამულები. კონტორას ჰყავს თავისი „ლესნიჩი“, რომელიც შეადგენს მამულების გეგმებს და დააფასებს.
კონტორა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, „მეტროპოლის“ ნომრებში, № 17, ახალის თეატრის პირდაპირ. (20—6)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება
აზოვის ზღვაოსნობისა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.
ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.
ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.
გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.
ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:
ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.
ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА
Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.
Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили. (50—28)

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული
ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი
„ქართველთა ცხოვრება“ ასამდე სურათით
და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს
5 მანათად.
ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—8)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—118)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი საქირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. ბროცკოვსკი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ბუგანოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. ბროცკოვსკი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ბუგანოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. კ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს.ზ.თოფურია. (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

7 ივნისი.

პეტერბურგი. ბიულეტენი. მისის იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს, რამდენიც ხანი გადის, იმდენი უკეთესობა ეტყობა და იმედია მალე სრულიად კარგად შეიქმნება. დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულიც კარგად იმყოფება.

კოვნა. როშკოვსკის საქმის გარჩევა, რომელსაც აზნაურის ბრჟეზიცკის მოკვლა ჰბრალდებოდა, 6 ივნისს დასრულდა. ვოშკოვსკის თავისი მსხვერპლი ჩაქუჩის ცემით მოუკლავს და დიდხანს, თურმე, სარდაფში ჰმალავდა მოკლულის გვამს. ნაფიცმა ვექილებმა უარი ჰყვეს, ვითომ მომკვლელს გაძარცვა ჰქონოდეს განზრახული. როშკოვსკის 13 წლით კატორგა გადაუწყვიტეს.

სტამბოლი. 6 ივნისისათვის დანიშნული ბჭობა საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის მორიგების პირობების შესახებ შაბათისათვის იქმნა გადადებული.

პარიზი. ქალაქის ლაბორატორიის დირექტორს თანხმობის მოედანზედ ნაპოვნ იარაღის შესახებ თავისი მოხსენება ჯერ კიდევ არ გაუთავებია. ჰფიქრობენ, ეს იარაღი იმას უნდა ჰგავდეს, რომელიც ბულონის ტყეში ააფეთქესო. დღემდის მომხდარს გამოძიებას ჯერ აოაფერი არ აღმოუჩენია.

პარიზი ამოვარდნილმა საშინელმა კუდიანმა ქარმა პარიზის დასავლეთით მთელი მხარე მთლად მოაოხრა. დაზიანდა შემდეგი სოფლები: ბეზონი, კოლომბი, ნანტერი, რიუელი, შატუ, სენ-დენი და ანიერი; ანიერი ყველაზე მეტად დაზარალდა; ქარმა სამი კაცი მოჰკლა და მრავალი დააზიანა. ყველგან, სადაც-კი ქარმა დაჰკრა, ძირიანად დაჰგლიჯა ხეები, მრავალი სახლი დაანგრია, ეტლები გადააბრუნა და ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტა.

ლონდონი. უელის პრინცმა ფინლიანდიის არქიეპისკოპოსი ანტონი მიიღო სადარბაზოდ.

8 ივნისი.

პეტერგოფი. 8 ივნისს პეტერგოფის დიდის სასახლის ეკკლესიაში პროტოპრესვიტერის იანიშევის მიერ მონათლულ იქმნა დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული. ნათლობას დაესწრნენ: ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანი და მთავარნი, პრინცი იოანნე შლეზვიგ-პოლდშტეინ-ზანდერსბურგ-გლიუკსბურგელი, პრინცი და პრინცესა ოლდენბურგისა, პრინცი ალბერტ საკსენ-ალტენბურგელი, მიტროპოლიტი პალლადი, წევრნი უწმიდესის სინოდისა და მინისტრნი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით, დანიშნულ იქმნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებად: იტალიის მეფესთან მყოფი ელჩი ვლანგალი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასტატისტიკო საბჭოს თავმჯდომარე სემიონოვი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: რადგანაც გაზეთმა „Сибирь“-მა მავნებელი მიმართულება გამოიჩინა, ამ გაზეთს პირველად გამოეცხადოს გაფრთხილება.

კელნი. იმპერატორისა და იმპერატრიცას თანადასწრებით, აკურთხეს ძეგლი იმპერატორის ვილჰელმ პირველისა.

რომი. ამბავი მოვიდა, რომ ვერდი ძლიერ ავად არისო.

სტამბოლი. ამ ბოლო დღეებში მრავალი სოფთი და მაჰმადიანი დაატუსაღეს. ამბობენ, ამ დატუსაღებას კავშირი აქვს იმ ლაპარაკთან, რომელიც გაისმის თესალიის შემოერთებისა გამო.

ბერლინი. რუსეთის სამხედრო აგენტმა ენგალიჩევმა გადასცა ალექსანდრე მესამის სახელის რაზმს ხელმწიფე იმპერატორის სურათი. ამის შემდეგ გაისმა „ურას“ ძახილი და ჰიმნი.

პარიზი. გუშინდელმა ქარიშხალმა ასამდე კაცი დააზიანა, ამათში 4 გარდაიცვალა. ზარალი დიდია. ბაღები განადგურებულია.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს ჰანოტომ შეატყობინა, რომ ჟერარმა ხელი მოაწერა პეკინში ხელ-შეკრულობას, რომლის ძალითაც საფრანგეთს მიენიჭება ახალი სავაჭრო და საპოლიტიკო უპირატესობანი ტონკინის მახლობელ ადგილებში.

ვენა. ის ამბავი, ვითომ ელჩებს ჯერ ინსტრუქციები არ მისვლიათ და ამის გამო მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება გვიანდებაო, ტყუილი გამოდგა: ამ დაგვიანების ბრალი თვით ოსმალეთის რწმუნებულთ ედებათ; თევთიქ-ფაშა იძულებულია შესახებ თითოეულის გარდაწყვეტილებისა ილდიზ-კიოსკიდგან ელოდდოს ხოლმე გარდაწყვეტილებასაო.

სიმლა: ასე ამბობენ, რომ ასსამში მიწის-ძვრისაგან დაღუპულა 6,000 კაცზედ მეტი.

კელნი. კელნის გაზეთები ამოწმებენ იმ ხმების სიმართლეს, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ იქმნება შვეიცარიის პრეზიდენტად ნამყოფი ნუმა დროზი. დროზი დაბრუნდა პარიჟიდგან ბერნში და განაცხადა, რომ მარტო დროებით დავთანხმდები ამ თანამდებობის მიღებაზედ, ვიდრე კრიტის კუნძულზედ სხვა ახალი მმართველობა დაარსდებაო.

სტამბოლი. 7 ივნისს ელჩები შეიკრიბნენ. ეს მეექვსე კრებაა ოსმა-

ლეთსა და საბერძნეთს შორის ზავის შესახებ. მოლაპარაკება უწინდელივით კეთილ-საიმედოა.

ჯედდაში ყოველ-დღე ორთა შუა რიცხვით სამი კაცი ხდება ავად შავის ჭირით. 25 მაისიდან 35 კაცი გამხდარა ავად.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ **ტფილისის სავაჟო III გიმნაზიაში კურს დამთავრებულები.** $189^6/_7$ წლის ანგარიშიდამა სჩანს, რომ სულ 27 შეგირდს დაუმთავრებია კურსი: მათ შორის 9—რუსია, 2—ქართველი, 13—სომეხი, 1—პოლონელი, 1—გერმანელი და 1—ებრაელი; ქართველები არიან: თავ. კონ. ანდრონიკაშვილი და იაკ. მეფისაშვილი.

⁂ **ბ-ნ ალ. ჯაბადარის წინადადებით,** ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუდგენია: ხორცს, რომელიც ქალაქის საყასბოდან გამოდის გასასყიდად, ტყვიის ნიშანი ჰქონდეს მიკრული. ამგვარად, ყველას შეეძლება ამ ტყვიის ნიშნით დარწმუნდეს, საყასბოში დაკლულს და ბეითალთაგან გასინჯულ საქონელს ყიდულობენ, თუ ჩუმად დაკლულსა და, მაშასადამე, შეიძლება ავადმყოფ საქონლის ხორცს.

ამასთან ტყვიის ნიშანთან ერთად პატარა კარტონი იქნება, რათა ქალაქის გამგეობის კონტროლმა კვალი დასტოვოს რამე თავისს მოქმედებისა. კარტონის ფერი ყოველ-დღე გამოიცვლება. დღეს რომ თეთრის კარტონით გამოვიდეს საყასბოდან ხორცი, ხვალ წითელი კარტონით გამოუშვებენ, ზეგ მწვანით და სხვ. და სხვ.

ჩვენმა გაზეთებმა რომ მოახერხონ და წინადღითვე გამოაცხადონ, ხვალ საყასბოდან ხორცს მწვანე კარტონის ნიშნები ექნებაო, ამ სიცხე-პაპანაქებაში ყველას შეეძლება ყოველთვის ახალი ხორცი მოსთხოვოს ყასაბს და ძველს ხორცში არ აძლიოს ფული.

⁂ **უსინათლოთა სკოლის შაგირდები საგარაგოდ სურამში** დღეს 10 თიბათვეს მიჰყავთ. უსინათლონი სურამში მთელი ზაფხული დარჩებიან. შაგირდებს მიჰყვება უფროსი ამ სკოლისა ნინა ბოგაევსკისა-აბაშიძე.

⁂ **თავხედური ქურდობა.** გუშინ, ღამის ორ საათზედ, ჩვენს რედაქციაში ღია ფანჯრიდგან შემოსულან ქურდები და რედაქტორის ოთახიდგან გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები, მომეტებულად ვერცხლეულობა, ღირებული ოც თუმნამდე. მას შემდეგ შესულან მეორე ოთახში და ტანისამოსები მოუგროვებიათ, შეუკრავთ ბოხჩა და ის იყო, როცა ფანჯრიდან გადასვლას აპირებდნენ ამ დროს მოსამსახურეს გაღვიძებია და დაუყვირნია—ვინა ხარო. ქურდს ბოღჩა იქვე დაუგდია და თვითონ გადამხტარა ფანჯრიდგან და მოუკურცხლავს. თვითონ ვ. გუნია იმ დროს სახლში არ ყოფილა. ბიჭს დაუწყია ყვირილი და მეზობლები გამოსულან. ზოგიერთი ნივთები იქვე ეზოში უპოვნიათ, დამტვრეული და გაფუჭებული. პოლიცია დაეძებს ქურდებს და ნივთებს, რომლებზედაც ვ. გუნიას სახელი და გვარი აწერია.

⁂ **უბედური შემთხვევა.** 7 ივნისს მიხეილის საავადმყოფოში მიუყვანიათ გულში რევოლვერის ტყვიით დაჭრილი 15 წლის ყმაწვილი სარაჯან კოსტავა. აი როგორ მომხდარა ეგ უბედურება: მეზობლის ბაღში ლორი შემოსულა და მას უკან გამოსდევნებია კოსტავა; მებაღეს დაუნახავს და ისიც გამოსდევნებია და რომ ბაღიდამ ვერ გადუდენია—რევოლვერი უსვრია, მაგრამ, უცაბედად, ლორის მაგივრად, ტყვია ყმაწვილს მოხვედრია გულში. საცოდავი, თურმე, საშიშ მდგომარეობაშია.

⁂ **თავის მოწამვლა.** იმავე საავადმყოფოში, 5 ივნისს, მოუყვანიათ ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე სალი ბეკაიანცი, რომელსაც კარბოლის სიმჟავით თავი მოუწამლავს და საცოდავი, მოუყვანიათ თუ არა საავადმყოფოში, ხუთის წუთის შემდეგ მომკვდარა. განსვენებულს ახირებული წერილი დაუტოვებია, რომელშიაც თხოულობს მდიდრულად დაასაფლავონ, ხოლო თითონ მას არ დარჩენია ერთი კაპიკიც. რამ აიძულა თავის მოკვლა, არავინ იცის. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **მარტყოფის ქუჩაზე მცხოვრებთა არა სასურველი მდგომარეობა.** მარტყოფის ქუჩაზე მე-9 განყოფილებაში რომ გაიაროთ, ყოველ დღე ნახავთ ყომრის თამაშობას, აუტანელ ლანძღვა-გინებას და ჩხუბს. არ შეუძლიან გავლა პატიოსან ადამიანს. რასაკვირველია, ასეთი ზნეობით გათახსირებულნი იქვე მცხოვრებნი: ცოლ-შვილნი და ახალგაზდა ყმაწვილები არიან. დიდების მაგალითს პატარებიც ჰბაძვენ და ამ გვარათ ერთად შეერთებულნი დიდ-პატარანი მიისწრაფიან უკულმართობისკენ, გარყვნილების მორევისკენ: ირყვნება ნამეტნავად მომავალი (აქაურ ხელოსანთა შვილები) თაობა. არ გაივლის არც ერთი დღე და ღამე, რომ ერთი კორიანტელი არ ასტყდეს ქუჩებში. უწმაწური სიმღერები, ცემა-ტყეპა და სხ. ამგვარები. ამას პოლიცია ყურადღებას არ აქცევს. რამდენჯერ მიმიმართავს პოლიციელისთვის, რატომ ყურადღებას არ აქცევთ და წესიერებას არ იცავთ მეთქი?—ნაცნობები, მეგობრები არიან და რა ვქნა, დასამწყვდევათ ხომ არ წავიყვანთო. ხმას არ სცემს პოლიციელი იმიტომ, რომ ხშირად მათთან ერთად ღვინით გამოიბრუება ხოლმე, და აბა ამა კაცებს როგორ აწყენინებს. საჭიროა, ყურადღება მიაქციონ ჩვენს ასეთს შეწუხებულ მდგომარეობას და დაგვიხსნან ყოველ ჟამს შეწუხებისგან, ვისგანაც ჯერ არს.

ეხლახან ერთს მედუქნესთან ჩხუბი მოუვიდათ ორს იმ უბანშივე მცხოვრებელს. ერთ-ერთს ჩხუბის ამტეხთაგანს ფული ემართა მედუქნისა, ფულს, თურმე, არ აძლევს და ნისია კიდეც მოეთხოვნა, მაგრამ მედუქნეს არ მიეცა. საღამო ხანზე განაწყენებული მოვალე, დამთვრალ-გათოშვილი მიადგა დუქნის კარებს და დაუწყო ლანძღვა-გინება: რატომ არ მენდეო? კაცო, მის მაგიერ, რომ ეგრე თვრები, ნისია მომცეო. ამაზედ ასტყდა ჩხუბი, დაუშინეს ქვები დუქანს იმ ორმა კაცმა და ჩაუმტვრიეს, ერთი ორი მედუქნესაც უთაქეს. სწორედ სისხლის ღვრა მოხდებოდა, რომ კერძო პირებს არ გაეშველებინათ. ერთი მომავალი პოლიციელი შემხვდა იმ ჩხუბის დროს, ვუთხარი გააშველე მეთქი და მითხრა: მე აქა არა ვდგევარო. მერე მოვიდა მორიგი, იმას ვუთხარი: რატო პოლიციაში არ არ მიგყავს დამნაშავე მეთქი, და მომიგო: მთვრალია, რა უნდა ვუთხრა, დეე წავიდეს, ჩემი ნაცნობიაო.

ეჰ, ღმერთო რამდენი უწესოება არსებობს ჩვენი ქუჩისკენ, ყურისმგდებელი-კი არავინაა.

გ. ზაზიაშვილი.

⁂ **სახალხო ლექსების შესახებ.** ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს თავისს წერილში „ერთის პრეტენზიის გამო“, რომელიც დაბეჭდილია გუშინ-წინ, „ცნობის ფურცელში“, მოხსენებული აქვს, რომ ჩემი სახალხო ლექსების კრებულ [illegible]
სახალხო ლექსი. ამ გარემოებას ი
წინადაც იხსენიებდა „[illegible]“
წინასიტყვაობაში. ამის შესახებ უნდა
მოგახსენოთ ჯერ ის, რომ ჩემი
კრებულის აქამდის მხოლოდ პირვე-
ლი ნაწილია დაბეჭდილი, მეორე და
მესამე-კი დაბეჭდვას მოელის. მე
რედ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს, ვაც-
ნობო მკითხველ საზოგადოებას, რომ
მე სახალხო ლექსების კრება დავიწ
ყე ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის თხოვ-
ნით და საფასით. ეს საქმე ასე მოხ-
და: 1883 წელს, აგვისტოში, ბ-ნ
იაკობ გოგებაშვილი საზაფხულო
ამოვიდა დ. სურამში, სადაც მე მა-
შინ ვმსახურობდი. მე მიველი მას-
თან, გავეცანი და ვუჩვენე რვეულ
ჩემის საკუთარის ლექსებისა, რომ-
ლის წერასაც გატაცებით მივდევდი.
ბ-ნმა გოგებაშვილმა მირჩია საკუთა-
რის შაირების წერისათვის თავი და-
მენებებინა და შევსდგომოდი სახალ
ხო ლექსების, ლეგენდების და არა
ზღაპრების შეკრებას სურამის მხარ
ში, სადაც იმ დრომდე ყურადღებ
არვის მიექცია ხალხის ქმნილების ნ
წარმოებისთვის. მე დიდის სიამო
ნებით მივიღე ეს რჩევა, რადგანა
მე თვითონ ვამჯობინე სახალხო ლ
ქსების შეგროვება საკუთარის შაირ
ბის წერას... მაგრამ ერთი დაბრკო
ლება მედო წინ, მე მაშინ ჯამაგირ
მცირე მქონდა და ხალხის პოეზი
შეკრებას-კი ცოტა ოდენი ფულ
ესაჭიროებოდა, რადგანაც გლეხ
უფასოდ არ თანხმდებოდნენ მოცე
ნასა. ეს დაბრკოლება ბ. ი. გოგ
ბაშვილმა ამაცდინა იმითი, რომ
რჯი თვითონ იკისრა და რამო
ნიმე წლის განმავლობაში ნაწილ-
წილად მაძლევდა საჭირო ფულ
ამ გარემოების წყალობით მე მ
ამ ჟამად მთელი კრებული სახალ
ლექსებისა, არაკებისა და სხვა
სხვა ხალხის ნაწარმოებისა. ვაც
ბებ რა ამას მკითხველებს, საჭირ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ.

მხეცია ადამიანი*).

უშველებელი ოჯახობა კაცობრიობისა, მიუხედავად ზოგიერთ გარეგნულ ვითარებისა და კულტურულ შეხედულებისა, მაინც თავისს ვრცელ სიღრმეში არა ნაკლებს „პირველ ყოფილს“ ხალხს იცავს, ხალხს ქვაკლდის საუკუნოისას, იმავ მხეცურის ინსტიქტებით, უგრძნობელ სასტიკობით, ვანუსაზღვრელ განყენებით ალტრუისტიკულ გრძნობათაგან. ესენი არიან პირუტყვნი, მხეცები, ჩვეულებრივის მძარცველების სულით და მისწრაფებით აღვსილნი. იგინი ეძებენ სისხლსა და სხვის წვალებასა, ვით კულტურული ხალხი—წამიერ სულის სიტკბოებას. მათმა ბუნებამ გაიარა საუკუნოთა ხანა, მთელი დიდი ევოლიუცია კაცობრიობის სულისა და აზრისა, მოაღწია ჩვენს საუკუნემდის, თუმცა ხელ-უხლებლივ შეითვისა ყოველი სულიერი ნიშანი პირველ შობილის ველურისა. მისმა თვისებამ ვერ შეიგნო, ვერაფერი ვერ მოიპოვა კაცობრიობის წინ-სვლაში, რადგანაც შთაბეჭდილება ცივილიზაციისა მხარ-და-მხარ მისდევს ამა ბუნებათა უსაქმობას. იგინი მხოლოდ გახდნენ უფრო მხდალნი და გულდაფარულნი და ინსტიქტიურად ხელს უწყობენ არსებობისთვის ბრძოლას. ესენი არიან წვრილფეხნი და ბოროტნი მხეცნი, რომელნიც აკმაყოფილებენ თავიანთს ინსტიქტებს უძლურთა არსებებით, რომელთაგან იგინი არ მოელიან წინააღმდეგობას. რაკი ჩაიდენენ ცოდვას, იგინი მხდალად იმალებიან და უარზე არიან ბოლომდის, თუმცა არც-კი აქვთ ღონე, თვალ-ნათლად იწამონ დამტკიცებული საქმე. მათნი მოქმედებანი გულს ჰხვდებიან სიმწვავით და სრულებით განუსაზღვრელნი არიან. ჩვენს თვალ-წინ შემდეგი შემთხვევაა.

ბრალდებულთა სკამზე სამის ადამიანის არსებაა, რომელთაც ჰბრალდებათ გახრწნა წვალება სამის წლის ჩჩვილისა და ისიც როგორი გახრწნა-წვალება! სმენა უარ-ჰყოფს გაიგონოს და დაიჯეროს ის, რაც ისმის სამსჯავროში. ეს ისეთი შემზარავი მარტიროლოგია არის, რომ ძნელია მოიდგინოთ ცოდვა, მომხდარი აქ, პარიზში, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, ჩვენში, ჩვენთა წესდებულებათა შორის!.. ეს რაღაც ბაკხანალიაა ჯვარცმათა და წვალებათა! უფროსს დამნაშავეს გრეგუარს, უეჭველია, თავისის პატარა შვილის პიერის (პეტრესი) წვალება ალბად დიდს კმაყოფილებას აძლევდა, რომ მან ამ ნაირ ყურადღებით და მოხერხებით შეასრულა ტანჯვის ვალდებულება. ყველა იხმარა: ცეცხლი, ცემა-ტყეპა, შიმშილი და ფიზიკური დაღლილობა! ყველას, რაც-კი შეიძლება მოიგონოს კაცობრიობის სასტიკობამ, ჰქონდა გზა მიცემული. და ყოველივე ეს მოიქმედეს სუსტს, დაუფარველს არსებაზე, ამ პატარასა და შეველა-მოკლებულზე.

მაგრამ, საქმე თავიდამ დავიწყოთ. ერთს მონპარნასის უბნის მივარდნილ ქუჩაზე საღამოთი მოდენილან სახლში ცოლ-ქმარი რაპპო და ზედ წასწყდომიან რაღაც პაკეტს, რომლისაგანაც მათ შემოჰსმენიათ შესაზარავი ხმა. მათ გაჰხსნეს იგი და დაინახეს მშვენიერი ქერა ყმაწვილი სამის წლისა, რომლის თავი, ტანი და ხელები ჭრილობებით იყვნენ მოფენილნი. ბავშვი სიცხისაგან იგრაგნებოდა, ღიღინებდა და ხანდისხან იძახდა: „Mama, papa, touxou!“ აიყვანეს და წარადგინეს პოლიციაში, იქიდამ გაჰგზავნეს საავადმყოფოში, სადაც მეორე დღეს გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

მთელი პარიზი აღელვდა ამ შემთხვევით, რადგანაც სხეულის გასინჯვამ გამოააშკარავა, რომ საწყალი ყმაწვილი სისტემატიურად ეწვალებინათ მიუწდომელ სასტიკობით. პოლიცია ეძებდა ყოველგან დამნაშავეთ, მაგრამ ვერსად ჰპოულობდა. სხეული გამოტანილი იყო მორგში*) და ბოლოს-ბოლოს აუარებელ მნახველთა შორის ერთმა ქალმა იცნო სახე-შეშლილი გვამი და გამოაცხადა იმის მშობლები. თავდაპირველადვე ფიცხელმა გამოძიებამ დაამტკიცა დანაშაულობა პატარა პიერის (ასე ეძახდნენ ამ მსხვერპლს) მამის გრეგუარისა, მისის საყვარლის დეგესი და დედისა. ბრბომ, ცოტას გასწყდა, არ დაჰფლითა ნაჭერ-ნაჭერ დამნაშავენი იმათის დაპატიმრების დროს. მთელს პარიზს გული შესტკიოდა პატარა ბავშვისთვის და იმის დასაფლავებაზე ასი ათას კაცზე მეტი შეიკრიბა. ყველას მოჰქონდა თავისი შეწირულება: ზოგი ჰგზავნიდა საფენს, ზოგი ბალიშს კუბოსთვის და ზოგი პერანგს. პატარა პიერი ბრწყინვალედ დაასაფლავეს და მისი დალონებული საფლავი სრულებით დაჰფარეს ყვავილებითა. პარიზს, თითქოს უნდოდა გაესწორებინა თავისი დანაშაულობა პატარა მსხვერპლის წინაშე, ერთის წუთით თავი ანება თავისს სკეპტიკურს თვით-მოყვარეობას და მიეცა ჭეშმარიტს, უბრყვილო გრძნობას შეცოდებისას. ეს იყო კარგი, გულ-დასაწვავი მანიფესტაცია.

ამასობაში გამოძიება თავისს გზით მიდიოდა და აგერ დღეს გრეგუარმა თანაშემწეებითურთ დაიჭირა ადგილი ბრალდებულთა სკამზე.

გრეგუარი იყო თეთრ-გვრემანი, უგრძნობ და უთავისუფლო სახის გამომეტყველებისა. თვალები პატარა და ამღვრეული ჰქონდა. შუბლი დაბალი, ჩამომავლობით შეჭმუხვნი
თმები—განუსაზღვრელ, მოყვი
ფერისა. ის ფრიად თავისუფლად
ცევა, პასუხს იძლევა ხშირად
ხმა-მაღლა და სცდილობს მთელ
ნაშაულობა დააბრალოს თავისს
ვარელ სატრფოს. დეგე და
გუარის დედა ორი მოპირდა
არსება: შეხედულობით მოაგონ
კაცს დაბალ სარისხის მეძავ ქალ
დეგეს თვალები ბოროტი, სიძუ
ლით აღსავსე აქვს, როდესაც მ
რუნდება ხოლმე გრეგუარს. გრ
არის დედას ეშმაკი, ბოროტი
აქვს, მაგრამ გიცქერის პირდ
თვალებში და რაც შეუძლიან, ს
ტუნებს.—გრეგუარი ჯვარ-დაწ
ლი იყო ძლიერ კარგს ქალზე,
მელთანაც მიეცა სამი შვილი. ც
თან გრეგუარი ძლიერ ცუდს
წყობილებაში იყო. სრულებით
მუშაობდა, ლოთობდა ყოველ
და მხოლოდ ცოლის სამშობ
მოწყალეობით არსებობდა. იშვია
შოულობდა ხოლმე ცოტაო
ფულს (იგი იყო მღებარი), მაგ
შინ-კი არ მიჰქონდა, არამედ პ
ველსავე სამიკიტნოში მიჰფლანგა
ხოლმე. თვით-მოყვარეობა გრეგ
რისა აქამდის მიაღწევდა ხოლ
რომ იგი ართმევდა ორსულს ცო
უკანასკნელ პურის ლუკმას და თ
თონ მშიერსა სტოვებდა. ჯერ ც
ლის სიცოცხლეშივე მიეთვისა დეგ
რასაც ცოლისაგან არ ჰფარავ

---

*) კორესპონდენცია „ბირჟ. ვედომ.“, პარიზიდამ.

*) მორგ—შენობაა, სადაც გამოაქვთ გასასინჯად ან საცნობად ნაპოვნი გვამი უცნობ პირთა.

ვრაცხ დაუმატო, რომ ჩემი სახალხო ლექსების მოხმარების უფლებას მივცემ მხოლოდ იმათ, რომელნიც ქართულის ენის საზიანოდ და შასავიწროებლად არ მოიხმარებენ მათ.—

სამსონ ღონღაძე.

⁂ **ს. სამღთო,** (ოზურგეთის მაზრა). თქვენის გაზეთის მე-197-№-ში დასტამბულია წერილი ბ. ვაკელისა მიქელგაბრიელის სკოლის შენობის გადაკეთებისა და „პარტიობის“ შესახებ. მართალია, საზოგადოებას ჰქონდა ლაპარაკი, რომ სკოლა შუასოფელში ყოფილიყო გადატანილი, რადგან ზოგიერთები ისე მოშორებულნი იყვნენ სკოლის შენობას, რომ მათ შვილებს უჭირდათ სკოლაში სიარული, ვერ დისთანხმდნენ და სკოლა ისევ ძველს ალაგას დარჩა. შემდეგ დამარცხებულმა მხარემ თავისი საკუთარი სკოლის შენობა ააგო და სასწავლებელი დაარსდა კიდეც—ეს უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ ეგრე მოქცეულიყვნენ, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათს შვილებს უჭირდათ მეტის-მეტ დიდ მანძილზე სიარული სასწავლებლად.

მიკვირს, რად უწოდებს ამ საქციელს, ბ. ვაკელი, რაღაც „პარტიობას“? რად არ ასწონ-დასწონა პატივცემულმა ავტორმა ყველა ის ნაკლულევანებანი ძველის სკოლის მდებარეობისა სოფლის ზოგიერთა მკვიდრთათვის და ისე არ წარმოსთქვა თავისი მკაცრი განაჩენი? განა შესაძლებელია, რომ 7—8 წლის ბავშვმა 8 ვერსის მანძილზე იაროს ყოველ დღე სკოლაში და განსაკუთრებით ზამთრობით, როდესაც ღელე-მდინარეები გადმოსულნი არიან და სოფლის გზებზედ ყელამდე წყალ-ტალახი სდგას? იქნება ბ. ვაკელი იმას გვირჩევდეს, რომ ბავშვებს სკოლის მახლობლად ვუშოვნოთ ბინა?—ახირებულია, თქვენმა მზემ! აბა სად შეუძლიან უმისოდაც ქონებრივად დაქვეითებულს გლეხს, რომ სკოლის ხარჯი გადაიხადოს და შეგირდს კიდევ სკოლის ბინა უქირაოს და ხარჯი გასწიოს?..

ეს საპატიო მიზეზებიც რომ არა გვქონდეს, განა საძრახისია—ერთს სოფელში ორი სკოლა და თუნდა სამიც იყოს, თუ კი მოვლა-შენახვას მოვახერხებთ? ჩვენ იმედი გვაქვს, რიგიანად მოვუვლით ჩვენს ახალს სკოლას და არაფერს დავაკლებთ, ხოლო თუ ბ. ვაკელი და მისი თანამოაზრენი ვერ შესძლებენ ცალკე სკოლის შენახვას, იმ შემთხვევაში მათი შვილებიც ჩვენს სკოლაში ატარონ; დიდის სიამოვნებით დავუთმობთ იმათაც ალაგს და აბა მაშინ დარწმუნდება ბ. ვაკელი, რომ ჩვენი შვილებისათვის საძნელო იყო სკოლაში დიდმანძილზე სიარული.

შავიზღვისპირელი.

⁂ **ოზურგეთი. შემოწირულება.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ, რომ თქვენის პატივცემულ გაზეთის „ცნ. ფურც.“ საშუალებით ნება მიბოძეთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს ოზურგეთში საზოგადოთ საქველ-მოქმედო მიზნით დაარსებულ კომიტეტებს და თავიანთი წვლილი შემოიტანეს. თავ: მიხეილ ალექსანდრეს ძეს ნაკაშიძეს, რომელმაც ერევნიდგან შემოსწირა ოზურგეთის სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოთ—20 მან. და ჩვენებური საერო სიმღერე-გალობის გავრცელების საქმე—10 მ. ოდესსიდგან შემოსწირეს: ბ. ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა სახალხო ბიბლიოთეკას—13 მან. სიმღერა-გალობის გასავრცელებლად—5 მ. სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაყელმა სახალხო სამკითხველოს—10 მ. სიმღერა-გალობას—5 მ. ივლიანე ქერქაძემ სამკითხველოს—3 მ. სიმღერა-გალობას—2 მ. ბ. ივანე ლეჟავამ სამკითხველოს—5 მან. სტუდენტმა პართენ გოთუამ სამკითხველოს—1 მან. დიმიტრი ნიკოლაიშვილმა სამკითხველოს—3 მან. ბ. შა[illegible]ეს პეტერბურგიდგან ჩვენებურ სიმღერა-გალობის გასავრცელებლად—10 მან. რაჭიდგან ტარასი ჭიჭინაძემ ჩვენებური სიმღერა-გალობის გასავრცელებლად—2 მ. დიდი სასიამოვნო ამბავია ის, რომ ჩვენი მოძმენი ყოველ კუთხიდგან მზათ არიან მხურვალე თანაგრძნობით მოგვაწვდინონ თავიანთი ძმური დახმარება ყოველნაირ ჩვენებურ საერთო საქმეში.

კომიტეტი.

⁂ **ს. ბაღდადი.** (გურია). **რამდენჯერმე დაწვა.** 27 თებერვალს, ვიღაცამ წაუკიდა ცეცხლი გ. ხომერიკის სამზარეულო სახლს და მთლად დასწვა. არ გასულა ერთი კვირა, რომ იმავე ხომერიკის ოდას გაუჩნდა ცეცხლი და მისი ავეჯეულობიანად გადიბუგა, კიდევ არ გასულა ათი დღე, რომ სასიმინდეც დაეწვა. მერმე როგორღაც იყო, მეზობლების შემწეობით გააკეთა ახალი სამზარეულო სახლი წნელით დალობილი, მაგრამ იმ ადგილზე აღარ დადგა, იფიქრა ეგება მიწას უჩნდება ცეცხლიო და სხვა ალაგას დადგა, მაგრამ არ გასულა ერთი თვეც, რომ წნელით დალობილი ფაცხაც დაეწვა ერთი კვირის განმავლობაში. ფაცხის დაწვის შემდეგ, სამზარეულო სახლიც დაეწვა. რაღა უნდა მოეხერხებია საწყალ კაცს; იფიქრა, თუ კიდევ ავაშენე ახალი სახლი, შეიძლება ისიც დამიწვანო და თავის ცოლ-შვილით ცოტა ხნის ვადით დაბინავდა მეზობლისას. მეტად შემაძრწუნებელი, აღმაშფოთებელი ამბავია და საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას საზოგადოებამ.

დ. ქარცივაძე.

⁂ **თელავი. სავაჭრო ამხანაგობა.** ტფილისის „შუამავალის“ წყალობით შეიძლება მოეფინოს პროვინციას სავაჭრო საამხანაგო დაწესებულებანი ორ ნაირად: 1) ერთი შეიძლება თვით „შუამავალმა“ გახსნას განყოფილებანი იმ პირობით, თუ უწყებული რიცხვი იმ ადგილის მცხოვრებთაგან, სადაც გაიხსნება განყოფილება, ჩაეწერება წევრებად. ამ შემთხვევაში თვით „შუამავალივე“ განაგებს დაწესებულებას თვისი ნოქრებითა და ზედამხედველებითა. 2) მეორე, შეიძლება ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეადგინონ ამხანაგობა, გახსნან სავაჭრო დაწესებულება, მართვა-გამგეობა თვით იკისრონ, ხოლო „შუამავალთან“ ჰქონდეთ დამოკიდებულება და ეს დამოკიდებულება გამოიხატოს ტფილისიდამ სავაჭრო საგნების გზავნაში, მოთხოვნილებისამებრ, და სოფლის ნაწარმოების ტფილისში გასასყიდათ მიღებაში და წელიწადში ერთხელ, როცა მოისურვებს, დაწესებულების აღებ მიცემობის შემოწმებაში სრულის ანგარიშით. რასაკვირველია, თვით „შუამავლისაგან“ პროვინციებში განყოფილებათა გახსნა უკეთესია, რადგანაც დაკეტილი დეპოების გამო იქ ისეთი აზრია შემდგარი, რომელიც დაბრკოლებას გაუწევს საკმაო წევრთაგან ამხანაგობის შედგენას, მაგრამ ამასთანავე „შუამავალს“ ძვირად დაუჯდება მართვა-გამგეობა, რაც სავაჭრო საგნების საფასურზედ იქონიებს გავლენას და წაართმევს ყოველსავე ძალას კონკურენციისას. ძვირად დაუჯდება მართვა-გამგეობა-მეთქი, რო ვამობ, სახეში მაქვს პირველად სიშორე, რაც დროსა და ხარჯს მოითხოვს საქმის წარმოების ყურის გდება, რაც ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს გამოიწვევს და მერე ის გარემოება, რომ პროვინციებში სავაჭრო დაწესებულება პირველ ხანებში 7000—15000 მან. მეტს ვერ ივაჭრებს და ამიტომ ვერ გაუძლებს გამგებელთა და ნოქართა ჯამაგირის ძლევას, თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ „შუამავლისგან“ გახსნილს განყოფილებას მუქთა ზედამხედავნი უფრო ნაკლებად აღმოუჩნდებიან. თუ სავაჭრო დაწესებულება, რომლის აღებ მიცემა 7000—15000 მან. გამოიხატება მართვა-გამგეობის შემადგენელ პირთ ყველას ნაქირავებს იყოლიებს, იგი სხვასთან შედარებით, სავაჭრო საგნებზედ ფასს ვერ დასწევს. სავაჭრო საგნებზედ ფასის დაწევა კი უნდა შეადგენდეს უპირატეს მიზანთაგანს ამისთანა საამხანაგო დაწესებულებისას. მართალია, ითქმება, რომ დაწესებულების ღირსებად ისიც კმარა, თუ იმავე ფასად, როგორც სხვაგან ისყიდება, უფრო უკეთესი სავაჭრო საგანი გაყიდაო. მაგრამ გამოცდილება ამის შესახებ სულ სხვას ამობს. იგი გვეუბნება, რომ მსყიდველი ძნელად არჩევს ერთისა და იმავე დარგის საგნებს ერთი მეორისაგან სიკეთით. მსყიდველი უფრო ფასს უყურებს და გარჩეული ფასი უფრო იზიდავს იქით, საცა ფასი ნაკლებია. ამასთან იმის თქმა, რომ ეს სავაჭრო საგანი სჯობია იმას, რომელსაც სხვები ჰყიდიან, რომ ეს ამა და ამ ფაბრიკა-ზაოდისაა, ამა და ამ ხარისხისაა, რომ ეს ამა და ამ ფასად არის ნასყიდი ადგილას და სხვისა ამ ფასად—სრულიად არ აკმაყოფილებს მსყიდველსა, რადგანაც იგივე და თითქმის იმავე სიტყვებით ესმის მას ყველა ვაჭრისაგან. საქმე იმაშია ფასით ნაკლები იყოს. ამას მიახწევს პროვინციაში საამხანაგო ვაჭრობა, თუ მართვა გამგეობა მცირე გასავალს მოითხოვს. იქნება იფიქროს ვინმე, რომ ისევ თანხა დარჩეს უსარგებლოდ და მართვა-გამგეობას-კი ჯეროვანი საფასი დაენიშნოსო, მაგრამ თავნის უსარგებლობა იქამდის უსაფუძვლო და მასთან შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ამაზედ არც-კი მინდოდა ლაპარაკი. თავნს უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 12% დივიდენდად.

თუ ადგილობრივნი მცხოვრებნი

როდესაც ახალგაზდა ქალი, მეუღლეობის ჯოჯოხეთისაგან დატანჯული გარდაიცვალა, გრეგუარი ,საბოლოვოდ დასახლდა დეგესთან, რომელსაც ჰყავდა სამი შვილი სხვა-დასხვა საყვარლებისგან. დეგე იღებდა სუბსიდიას თავის წინანდელს მღმერთებელთაგან, და გრეგუარიც სცხოვრობდა იმის ხარჯზე. თავისი შვილები სოფელში გააბარა აღსაზრდელად, მაგრამ მალე ორი იმათგანი მოკვდა, და მესამე, პიერი, ძიძამ მოიყვანა უკანვე დაპირებულ საჩუქრის მიუცემლობის გამო. გრეგუარმა ძალა-უნებურად აიყვანა პატარა პიერი. ამის გარდა სამი ბავშვიც უკვე ჰყავდა სახლში. პარატა პიერი, ერთად-ერთი მოწამე წარსულის ცხოვრებისა, თვალებში ეჩოთირებოდათ გრეგუარსა და მის საყვარელს; ვერ შეიყვარა გრეგუარმა საყვარლითურთ საწყალი პატარა ყმაწვილი! იმ მიზნით, რომ მათ არ ესიამოვნებოდათ იგი, ამ სასიამოვნო წყვილმა ქმნილებამ გაუმართა მას ფორთოხალის ყუთი საწოლის მაგიერ. პატარას დამპალ ძონძებში ეძინა. ბავშს თავის დღეში არა ჰბანდნენ და, საზოგადოდ, ყურს არაფერში არ უგდებდნენ. მცირე დანაშაულისთვის გრეგუარი სჯიდა და ისიც როგორ?.... თმა ყალყზე დგება გასამტყუნებელ ოქმის კითხვის დროს. ჯერ ეს ერთი, რომ იგი მიუბამდა ხოლმე ჩჩვილს, სუსტს ფეხს პატარა არსებისას მძიმე ყუთს, სავსეს ლურსმებით და რკინეულობით და უყვიროდა: ,,Hue! charoqné!‘‘ (ეი, მძორო!). თუ ბავშს ვერ შეეძლო გაეწია ყუთი, გრეგუარი სცემდა ჯოხით, საცა მოხვდებოდა. საწყალს ყმაწვილს თავის ქალას ერთს გვერდზე თითქმის აღარ ჰქონდა თმა, კანი-კი ალაგ-ალაგ ჰქონდა დახეთქილი, რადგანაც შეუხორცებელ ჭრილობებზე მხეცი ნავარდობდა უფრო მეტის სიმწვავით. სცემდა პიერს, რითაც მოხვდებოდა,—წალებით, შუშებით, მუშტებით... მაგრამ ესეც ცოტა იყო გამხეცებულ მამისთვის. იგონებდა სულ ახალ-ახალ წვალებებს, მაგალითად, ძალას ატანდა სამის წლის ბავშვს გაჭიმულის ხელით დაეჭირა დურგლის მძიმე ჩაქუჩი, და თუ ხელი ჩამოეშვებოდა, გრეგუარი სცემდა ყმაწვილს ჩაქუჩით თავში. ერთმა ამისთანა დარტყმამ კინაღამ გაუხეთქეს ზედ შუაზე თავის ქალა პატარა პიერს. გრეგუარი აგრეთვე ხშირად აჰოქებდა ბავშვს, ატიტვლებდა, უჩხვლეტდა ბარძაყებს და წვივებს სამზარეულოს მჭრელ დანით. მიცვალებულის ერთს ფეხზე იპოვნეს ოცი და მეორეზე ორმოცდა სამი ნაჩხვლეტი.

პატარა პიერი, როგორც თითქმის ყველა თავდანებებული ბავშვები, უსუფთაო იყო; თუ მას მოუხდებოდა ხოლმე რაიმე უბედურება, მამა მხოლოდ მრისხანედ შეჰყურებდა ხოლმე, და ბავშვიც იმ წუთში წაჰყობდა თავს თავის ექსკრემენტებში, რადგანაც წინააღმდეგს შემთხვევაში გრეგუარი თავისს ტირანობას იჩენდა ხოლმე. მაგრამ ზემომოყვანილნი სასჯელნი ეცოტავებოდა მხეცს: ერთხელ ბავშვს გამოართვა ხელი და მიუდო გაწითლებულ ბუხრის სარქველზე. და როდესაც ბავშვმა შეჰყვირა, მან გადმოუბრუნა ხელი და მეორე გვერდით მიუდო ისე, რომ ბუხრის ფილაქანზე დარჩა ხორცის ნაჭერი, რომელიც რამდენისამე ხნის ყრჩოლვის შემდეგ, ფერფლად იქცა. სხვა დროს კიდევ მან დაუჭირა გატიტვლებული ფეხები ბავშვსა გახურებულს მუხრის თავზე და ეკითხებოდა, „ცხელა?“, და ისევ ბავშვის ყვირილზე დაუღაგა ფეხები ბუხარზე. პიერს სრულებით არა ჰკვებამდნენ, და თუ ბავშვს შეეძლო ხოლმე, მიცოცდებოდა ძაღლისთვის მომზადებულს საჭმლის კათხასთან და იქ იყოფდა მდარე საჭმელს ძაღლთან. ეს იყო მისი ერთად-ერთი მეგობარი, რომლის სახელსაც იგი იმეორებდა სიკვდილამდის.

ყრმა მალე სრულებით დასუსტდა ცემისაგან, ვეღარ დადიოდა და მთელი დღე იწვა თავის ქოხში დამპალ ლეიბზე, თავის ექსკრემენტთა შორის, რომელთა შემსუბუქებას და მოშორებას არავინ ფიქრობდა. სჩანდა, რომ ბავშვი ნელ-ნელა კვდებოდა. უკანასკნელმა სასტიკობამ მამისა—საშინელმა მუშტით თავში დარტყმამ, ისე რომ თავის ძვლები გამოუჩნდა,—სრულებით მოუღო ბავშვს ბოლო. საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. ბავშვი შეიძლება, მომკვდარიყო, მას გასინჯავდა პოლიციის ექიმი, იპოვნიდა ნაჩხვლეტებს, ჭრილობაებს და საქმე გამოაშკარავდებოდა. გრეგუარის დედის რჩევით, გადასწყვიტეს ბავშვი დაეტოვებინათ სადმე მიყრუებულს ადგილს. გრეგუარმა არჩია გადაეგდოთ პიერი სენაში, მაგრამ ქალები ამ აზრს წინააღუდგნენ, რადგანაც საშიშო იყო. ბავშვი შეახვიეს ბებრის ძველს კაბაში და ისე მოუჭირეს, რომ მას არცკი შეეძლო განძრეულიყო. შემდეგ, ბნელ ღამეში, კოკის პირული წვიმის დროს, გრეგუარმა დეგეთურთ წაიღეს მომაკვდავი ბავშვი მივარდნილ მისახვევში პარიზის განაპირას და დააგდეს.

გრეგუარი მიიწვიეს სასამართლოში ჭრილობათა მიყენებისთვის და ბავშვის უდაბურ ადგილას დატოვებისთვის. პირველისთვის მიუსაჯეს ციხე, მხოლოდ მეორისთვის—საუკუნო კატორღა. ქალები გაამტყუნეს თანაზიარობისთვითს. ყველა მოწმეები ბრალდებულთა წინააღმდეგს უჩვენებენ, ბევრნი ეპაასებიან მათ და ბევრნი, როგორც სჩანს, ძლიერ კმაყოფილნი არიან, რომ შეუძლიანთ დახმარება აღმოუჩინონ სამართალს ამ მხეცის სასჯელის საქმეში. სიძულვილი ბრალდებულთადმი საშინელია; სალდათები ძლივს იკავებენ გამწარებულ ბრბოს მანიფესტაციიდგან. ყოველ ახალ მოწმეების ჩვენებასთან დარბაზში ისმის მძულვარების ხმა და ხშირად გაისმის: „A mort!“ მოჰკალით.

რა მდგომარეობაშიაც ხალხი არის, ესა სჩანს იქიდამ, რომ ძლივს იპოვნა მფარველი, რადგანაც ყველა ადვოკატები უარს აცხადებდნენ ამ საქმის წარმოებაზე. ქალები, როგორც სჩანს, ნაკლებ დამნაშავენი არიან, მომეტებულად დეგე, რომელიც ხანდისხან ჰფიქრობდა პატარა ბავშვზე და კიდეც მფარველობას უწევდა ხოლმე.

საზოგადო ჰაზრი თხოულობდა ამ დანაშაულისთვის ახალს, საკუთარს წესდებას, რომელიც მისცემდა მათ ნებას, რომ სიკვდილით დაესაჯათ ბრალდებული; მაგრამ, საბედნიეროდ, პალატამ არ შეისმინა ამათი მოთხოვნილება და ამისთანა წესდება არ გამოიგონა. ნაფიცთა ჩათვალეს გრეგუარი დამნაშავედ, შეუბრალებლად, და ამ რიგად გაჰხადეს საუკუნო კატორღაში. ორსავე ქალს გადაუწყვიტეს ხუთ-ხუთის წლით ციხეში დატუსაღება.

ვ. მხარგრძელი.

თვით დაჰხსნიან სავაჭრო დაწესებულებას, და მართვა-გამგეობასაც თვითვე იკისრებენ და „შუამავალთან“ დაიჭერენ უწყებულს დამოკიდებულებას ემჯობინება. თვითეულს ადგილს მცხოვრებელთა მოთხოვნილებანი თავისებური აქვს. ადგილობრივნი პირობანი ადგილობრივ მცხოვრებელთ უფრო შეგნებული აქვთ, ამათ იმის შესახებ უფრო ნაკლები შეცდომა მოუვათ, ვიდრე სხვასა. თუ „შუამავალი“ გახსნის განყოფილებათ, რასაკვირველია, უფროსი გამგე იქმნება საზოგადო კრება, რომელსაც ჯერ ერთი რომ ნაკლებად დაესწრებიან პროვინციელი ამხანაგები და მეორე, თუნდა დაესწრნენ, ძნელად გაატარებენ განსაკუთრებულს პირობებზედ დაფუძნებულს მოთხოვნილებას, რადგანაც პირობათა განსაკუთრებული ხასიათი უმრავლესობისთვის უცნობი იქმნება. საზოგადო კრების შემდეგ გამგე იქმნება ამ კრებისაგანვე არჩეული გამგეობა, რომელიც მიჭირვებული იქმნება შორიდამ ადევნოს თვალ-ყური. ვაჭრობის თვისება-კი ის არის, რომ დროსა და გარემოებას შეუფეროს მოქმედება. დრო და გარემოება მუდამ ცვალებადია, მოქმედების შეფერებაც ის არის, რომ ცვალებადობდეს დროსა და გარემოებათა მიხედვით. სავაჭრო მოქმედების შეფერებული ცვალებადობა შეიძლება ხელმძღვანელის თავდგომით. თუ ხელმძღვანელი შორს ეყოლება, ხშირად სახელმძღვანელო განკარგულება ან ვერ მოუსწრობს, ან განკარგულება აღმოჩნდება შეუფერებელი.

ამიტომ პროვინციაში სავაჭრო დაწესებულებას უნდა საკუთარი ამხანაგობა ჰყავნდეს. საქმე იმაშია, „შუამავალმა“ იკისროს სავაჭრო საგნების გზავნა ან თვისი საკუთარი საწყობებიდგან და ან სხვის საწყობებიდგამ თვისი საკუთარი ზედამხედველობით. „შუამავალს“ რომ საკუთარი სავაჭრო საგნების საწყობები ჰქონდეს, მაშინ სავაჭრო საგნებში იგივე დარჩებოდა, რაც ახლა სოვდაგრების ჯიბეში რჩება და პროვინციაში სავაჭრო საგნები თუ სოვდაგრებზედ ნაკლებ ფასად არა, მეტად მაინც არ დაჯდებოდა. თუ „შუამავალს“ თვით არ ექმნება სავაჭრო საგნების საწყობები და მიჭირვებული იქმნება, სოვდაგრებს გამოაგზავნინოს, ამისათვის მას კაცი დასჭირდება და ამ კაცის საფასური მაინც უნდა აიღოს, თუ თვით არა აიღორა.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პროვინციის სავაჭრო დაწესებულება თავის კაცს მუდამ ვერ გაჰგზავნის ტფილისს და გაუგზავნელობით კიდევ ხშირად სარგებლობენ სოვდაგრები! ხან საქონელს აკლებენ, ხან ფასს მეტს უსვამენ, ხან გაფუჭებულს ჰგზავნიან და ხან აგვიანებენ, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი შემთხვევა ხშირია.

პროვინციის საამხანაგო სავაჭრო დაწესებულება თვის უნებურად მაზარალებელია სხვა ვაჭრებისა. ამ თვისების საამხანაგო სავაჭრო დაწესებულებათა ვერ მოიცილებს თავიდამ, რადგანაც მისი მიზანია, სხვათა შორის, გაიაფება. ამიტომ ამისთანა დაწესებულება სხვა ვაჭრებში უეჭველად გამოიწვევს სიძულვილსა და ეს ვაჭრებისაგან სიძულვილი ისეთს მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ნამდვილად უნდა მოხდეს. ჰაერზედ მძიმე საგანი ჰაერზედ არ გაჩერდება და წყალზედ მძიმე—წყლის ზემოდამ. აგრეთვე დაწესებულება, რომელიც აზარალებს ვაჭარს მის მთავარს საქმეში, ვაჭრობაში, მოყვრობას ვერ გამოიწვევს ვაჭრის გულში. რაც უნდა გვარწმუნებდეს ვაჭარი, რომ ფასების დამწევი დაწესებულება იმას აინუნადაც არ მიაჩნია, რომ ის თვის დუქანში ბატონია, რა ფერადაც უნდა გაჰყიდის და სხვა ამისთანები, ნამდვილი-კი ის არის, რომ გულის სიღრმეში მაინც დიდი მტერია დაწესებულებისა და უმრავლესობა ხომ თვის მტრობას არა ჰმალავს. იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, დააბორძიკოს, დააბრკოლოს თვისი მაზრალებელი დაწესებულება, ამისათვის მრავალს საშუალებას ხმარობენ და მეცადინეობა მათი სოვდაგრამდისაც აწვდენს ხელს. აქ, რასაკვირველია, მარტო ვაჭართა საზოგადოება არის ხოლმე სახეში მიღებული და ამ გზაზედ დაყენებული ლოღიკა იმ სამართლიან დასკვნამდის მიდის, რომლითაც ერთის ინტერესს უმრავლესობის ინტერესი მსხვერპლად არ უნდა შეეწიროს.

ამას ემატება ის მოსაზრება, რომ ფასის დაწევით განსაკუთრებით ზარალობენ უფრო წვრილი მოვაჭრენი. ამ მხრივ ყველა ბაზრის მოვაჭრენი, იმის მიუხედავად ბაზარი დიდია თუ პატარა, ორ-ჯგუფად იყოფებიან: ერთს ჯგუფს შეადგენენ ორი-სამი ვაჭარი, რომელნიც ბევრს სავაჭრო საგნებს ასაღებენ, მეორეს—ვაჭართა უმრავლესობა, რომელთაგან თვითეული ცოტა სავაჭრო საგნებს ასაღებენ. პირველთათვის ფასის დაწევა ბევრი არაფერია, რადგანაც ისენი თანხას რვაჯერ ან მეტჯერ აბრუნებენ, რის გამოც ხშირად თვით დასწევენ ხოლმე ფასებსა. უმრავლესობა ორჯელაც ძლივს აბრუნებს თანხას და იგი ამიტომ მეტი ფასებით სულდგმულობს. ფასის დაწევა იმათთვის მომაკვდინებელი სენია. აი ამათ შეაბრალებენ ხოლმე, სადაც შებრალება მათდა სასარგებლო მოქმედებას გამოიწვევს. ამა ისეთი მოსაზრებანიც ემატებიან, რომლებთანაც მოქმედების შეფერება პატრიოტულს მოღვაწეობად ეთვლებათ. ყველა ამ პირობებიდგან ზედ მიტანილს იერიშს უნდა გაუძლოს პროვინციაში სავაჭრო ამხანაგობამ და ეს ისეთი ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

დაძლევა ყველა დაბრკოლებათა შეიძლება, თუ ერთის მხრივ „შუამავალი“ აღმოუჩენს პროვინციის სავაჭრო ამხანაგობას შემწეობას, რაც უნდა გამოიხატოს, როგორცა ვსთქვით, სავაჭრო საგნების ტფილისიდამ გზავნაში, ურომლისოდაც პროვინციის საამხანაგო სავაჭროები მოკლებულ იქმნებიან უმთავრესს ძალას და სოფლის ნაწარმოების მიღებაში; მეორეს მხრივ თუ ადგილობრივი ინტელიგენცია შეიცვლის საამხანაგო სავაჭროებზედ თავისს აზრს, ისე არ დაუწყებს ყურებას, როგორც ნეტარხსენებული ლუარსაბ თათქარიძე, შეერთდება და შეერთებულის ძალით გაუძლებს ამ მეტად დიდ-მნიშვნელოვანს საგანს. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ეკონომიურ სიძლიერე-სიუძლურეზედ არის ყველაფერი დამოკიდებული, რომ ეკონომიური მდგომარეობა ის დედაა, რომლისაგანაც იშობებიან ყველა ცხოვრების პირობანი. სამწუხაროდ, უმრავლესობას ერთი რომელიმე ნათარგმნი წიგნის გამოცემა, თვისი გვარის გამომჟღავნებით, ზევით აქვს დაყენებული, ვიდრე საამხანაგო სავაჭროში რომელიმე დარგის მუშაობის შესრულება. ვისაც-კი გამოუქვეყნებია თვისი გვარი რომელსამე წიგნაკზედ, ან რომელიმე უხეირო მოთხრობითა, სხვას ადამიანად აღარ აგდებს. კითხულობს; „აბა, რა გააკეთა, სად არის მისი სახელი ხსენებული, ან ვინ იცის, რომ ისიც ქვეყანაზედ სცხოვრობს?“ ამისთანა შეხედულებას ხელს უწყობს ჯეროვანად დაუფასებლობა ჩვენს მწერლობაში მათის ნაყოფიერობისა. ეს არის ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომ სოფლად და სამაზრო ქალაქებში ინტელიგენცია სოფლურს და პატარა ქალაქურ საქმეებს არა კადრულობს, ან თუ კადრულობს, უგულოდ ეპყრობა, ან არა და სულაც გაურბის სოფელსა და მაზრის ქალაქსა. ნუ დაივიწყებთ, რომ სოფლად და სამაზრო ქალაქებში, მასწავლებელზედ ბევრად კარგს პირობებში სხვანი არიან. მასწავლებელთა სკოლის გარეთ მოღვაწეობას მეტად გეზად უყურებენ, ხშირად მასწავლებლის შინაური მტერიც, რომელიც აუცილებელია ყველა პატიოსანი მასწავლებელისა, ამ მხარეს ხმარობს მარჯვე იარაღად. ყველა უწყეების მოხელენი ამისთანა მდგომარეობისაგან თავისუფალნი არიან და თავადაზნაურობის უმრავლესობა ხომ სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ ყველა პროვინციის საზოგადო საქმეში ნაკლებად იღებენ მონაწილეობას სხვა უწყებებიდამ და უფრო ნაკლებ ჩვენი მოწინავე წოდება,

საქმე იმაშია, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარებულს ნაწილს საზოგადო საქმე თვის მოვალეობად არ მიაჩნია, ან უკეთა ვსთქვათ, უმრავლესობა თავისი „მე“-ს იქით მოვალეობას ფუჭ კაკლადაც არ აგდებს. თუ როდისმე მოიბრუნებს გულს საზოგადო საქმისათვის, ეს მარტო მაშინ მოხდება, როცა მის საქმიანობას მისივე სახელის განდიდება მოსდევს.

გამოდის, რომ ერთი უსაჭიროესი პირობა პროვინციაში სავაჭრო ამხანაგობათა აღორძინებისა არის ტფილისში იმისთანა დაწესებულება, ,,შუამავალი'' იქმნება იგი თუ სხვა, რომელმაც ასაზრდოვოს პროვინციის სავაჭრო ამხანაგობანი.

ახლა საჭიროა, დავაკვირდეთ პროვინციის სავაჭრო ამხანაგობათა რომელი საგნებით უნდა დაიწყონ ვაჭრობა. ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ისე, როგორც დღევანდლომდის ხდებოდა, საკმაო არ არის. ეს საკითხი ყოველ მხრივ უნდა იყოს განხილული და შემდეგ იყოს იმ დარგის სავაჭროს არჩევა, რომელსაც მეტი სასარგებლო პირობები აღმოუჩნდება. რადგანაც უმისოდაც გაგვიგრძელდა სიტყვა, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ნადიკვრელი.

სასამართლოს მატიანე.

თ. ნ. დიასამიძის და თ. ვ. თუმანოვის საქმე.

9 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია თ. დიასამიძის და თ. თუმანოვის საქმე, რომელიც შეეხებოდა შარშან, 20 მაისს, მომხდარს უსიამოვნებას ბანკის კრებების დროს. თ. დიასამიძეს იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ. ი. ჯაბადარი, თ. ვ. თუმანოვის მაგიერ ლაპარაკობდა ნაფიცი ვექილი გ. ტერ-სტეფანოვი. სასამართლომ, მოუსმინა რა საბუთები ორსავე მხარეს, წინადადება მისცა შერიგებულიყვნენ. ვ. თუმანოვმა ასეთი პირობა დადვა შერიგებისა: აღიაროს თ. დიასამიძემ საჯაროდ, რომ ყოვლად უმიზეზოდ ჩემის მხრივ დამეცა თავს და დამკრა, ბოდიშიც მოიხადოს და მე ვაპატიებო. ნ. დიასამიძე არ დასთანხმდა ამას. მაშინ მსაჯულნი წავიდნენ სათათბიროდ და 20 მინუტის შემდეგ გამოუტანეს ბრალდებულს შემდეგი განაჩენი: ბრალდებული თ. დიასამიძე იცნო სასამართლომ დამნაშავედ იმაში, რომ გულ-მოსულმა და აღელვებულმა გაზეთ „ნოვ. ობ.“ წერილებით ჯოხი დაჰკრა თ. თუმანოვს, რისთვისაც მიუსაჯა 7 დღით დაჭერა სამხედრო გაუპტვახში.

დაწვრილებითი ანგარიში ხვალ გვექმნება დაბეჭდილი.

პეტერბურგის ბირჟა

კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 6 ივნისი 1897 წ.

ვექსელ. კურსი 3 თვით:	
ლონდონისა 10 გირ. სტ—ში	93,90
ბერლინისა 100 მარკაში	45,90
პარიზისა 100 ფრანკში	37,30
მდგომარეობა ვექს. კურსისა	მშვიდია
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,50
ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.)	149
ბირჟის დისკონტი	
4% სახელმწიფო რენტა	99
4% შინაგანი სესხი 1 სერიისა	$98^1/_2$
$4^1/_2$% „ „ 1893 წლ.	$101^1/_2$
$4^1/_2$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა	101
5% „ „ „ „ „	$97^1/_4$
$4^1/_2$% მოწმ.საკრ.საად.-მამ. ბ.	$101^3/_8$
5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ.	$284^1/_2$
5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ.	$246^1/_4$
5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ.	$206^1/_4$
„ ოქროს რენტა 1884 წ.	172
$4^1/_2$% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად.	$156^3/_4$
4% სახელ. რკინ. გზ. რენტა	—
$4^1/_2$% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ.	$101^3/_4$
„ „ 2 გამ. 1892 წლ.	$101^1/_2$
4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ.	153
$4^1/_2$% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ.	$101^3/_8$
„ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ.	$101^3/_8$
„ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ.	$101^3/_8$
4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ.	$96^3/_4$
$4^1/_2$% სესხი ქ. პეტერბურგ.	$100^1/_4$
$4^1/_2$% „ „ ქ. ოდესისა	$96^5/_8$
5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ.	$101^1/_8$
$4^1/_2$% „ „ „ „	$98^3/_4$
5% . . . . მოსკოვისა	$101^3/_8$
$5^1/_2$% ობ. ოდეს. საკრ. საზ.	101
5% „ „	$100^1/_8$
$4^1/_2$% „ „	$94^5/_8$
5% ტფილისის	$99^1/_2$
$5^1/_2$% გირავნ. ფურც. ხერს.	101
5% საად. მამულო ბანკისა	$100^5/_8$
$4^1/_2$% „ „ „ „	$95^1/_2$
5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ.	$100^5/_8$
$4^1/_2$% „ „	95^1
5% ვილენის	100
„ დონისა	100
$4^1/_2$% დონისა	95^1/
5% კიევისა	101
$4^1/_2$% ,, „	96^1/
5% მოსკოვისა	101
,, ნიჟ-სამარისა	101
„ პოლტავისა	100^1/
$4^1/_2$% „ „	95^1/
5% ტულისა	101
„ ხარკოვისა	101
$4^1/_2$% „	96^1/
6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ.	101
5% „ „ „	99^3/
6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „ „	99^3/
აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ.	462
„ პეტ. უჩოტ. და სესხ.	660
„ პეტ. ერთა-შორებრივ.	570
„ რუსეთის შინაგ. ვაჭ.	410
„ ვოლგა-კამას კომერ.	1200
„ პეტერბ.-მოსკოვის კომ.	395
„ პეტ.-აზოვის კომ.	318
„ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან.	
„ აზოვი-დონის კომ. ბან.	565
„ ვარშავ. კომერ.	470
„ მოსკოვ. საერთაშ. ბან.	400
„ ციმბირისა	660
„ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ.	580
„ ვილენისა	590
„ დონისა	635
„ კიევისა	728
„ მოსკოვისა	670
„ ნიჟეგოროდ. და სამარის	600
„ პოლტავისა	562
„ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ.	384
„ ხარკოვის საად.-მ. ბან.	450
„ პეტერბ. განათ. საზოგ.	120
პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად.	8,300
აქციები „ „ „	410
„ პუტილ. ქარხნის საზოგ.	125
„ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ.	467
აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“	197
„ რუს. და ბელგ. მეტალ.	257
„ მალცევის ქარხნებისა	563
„ რუს. ოქრ. საზოგად.	247
„ რუს. დამზ. საზ. 1827 წ.	1500
„ ,, ,, ,, 1835 წ.	310
„ დამზ.საზ. „სალამანდრა“	420
„ პეტერ. დამზღ. საზოგ.	410
„ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ.	780
„ დამზღ. საზ. „როსსია“	364
„ საზ. ,,რუსს. ლლოიდ“	1050
„ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ.	190
„ დამზღვევი საზოგად. კ. ,,ნადეჟდა''	240
„ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო	560
„ საზ. „კავკაზ და მერკურ“	362
„ ნავოსნ. დნეპრზე	90
„ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ.	440
„ კიევი-ვორონეჟ.	345
„ რიბინსკისა	162
„ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ.	165

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—სუს

განცხადებან

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადება

„ცნობის ფურცლის“ რედა
იმ პირთ, რომელთაც სჭირდ
განცხადება რაიმე საქმის მოს
ვებლად, მაგ.: მასწავლებლ
მოწაფეებ, ექიმებს, ვექილებს,
რლებს, მთარგმნელებს, წიგნ
გამომცემელთ და სხვათა, გან
დებას უბეჭდავს სულ მცირე
სად: **სტრიქონი პირველ გვერ**
3 კაპ. (ორი შაურის მაგიერ
და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ.
ურის მაგიერად).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюня 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.